# ო ქ მ ი N1

ქ.სენაკი 20.11.2025 წ.

2025 წლის 20 ნოემბერს შედგა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხდომა. სხდომა დაიწყო ! 14-00 საათზე დასრულდა 14-30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: მირანდა მირცხულავა, ზურაბ სანაია, ბორისი სოსელია, მაია ფირცხალავა, საბა სირია, გოგიტა ოდიშარია, სულხანი ხუნწარია.

სხდომის თავმჯდომარე: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მ/შ: მირანდა მირცხულავა, სხდომის მდივანი : მაია ფირცხალავა

## დღის წესრიგი

1. 2025 წლის სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარსადგენი შენიშვნები.

მომხსენებელი : სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მ/შ: მირანდა მირცხულავა

2. 2025 წლის სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარსადგენი ინიციატივები.

მომხსენებელი : სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მ/შ: მირანდა მირცხულავა

მომხრე: 7. წინააღმდეგი :0

**მოისმინეს:**

**1. 2025 წლის სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარსადგენი შენიშვნები**

მომხსენებელი : სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მ/შ: მირანდა მირცხულავა

მომხსენებელმა, ფრაქციის წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის განმარტებითი ბარათი. აზრი გამოთქვეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა: მ. მირცხულავამ, ბ. სოსელიამ, მ. ფირცხალავამ, ს. სირიამ, ზ. სანაიამ, გ. ოდიშარიამ. აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული თუ რა არის მთავარი და პრიორიტეტული მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის ნახევარზე მეტი იხარჯება საჯარო მოხელეებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურებაზე, რაც ჩვენი აზრით არ ასახავს სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევების დაძლევის გზას. წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია საჯარო მოხელეებისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლების სახელფასო ზრდა 10 %-ით. ფრაქციას მიზანშეუწონლად მიაჩნია მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირების ხელფასის გაზრდა (1000 ლარი და მეტი). სახელფასო ზრდა შეეხოს დაბალანაზღაურებად თანამშრომლებს 15% მეტი. (მუშა, მეეზოვე, ბიბლიოთეკის თანამშრომელი, მწვრთნელი, მუზეუმის სპეციალისტები და ა.შ).

პროგრამულ ნაწილში: ა(ა)ი.პ-ის და მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამები ვერ ადასტურებს მოთხოვნილი თანხების მიზნობრიობას. მთლიანად 2025 წლის ბიუჯეტის პროგრამული ნაწილი კოპირებულია 2024 წლის ბიუჯეტიდან. არ არის ახალი ხედვა, სწორად არ არის არჩეული პრიორიტეტები, იმ დროს, როცა სენაკის მუნიციპალიტეტს უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, 2025 წლის ბიუჯეტში ტურიზმისათვის გამოყოფილია

130.000 ლარი(ასოცდაათი ათასი), როცა 2024 წელს გამოყოფილი იყო 150.000 ლარი(ასორმოცდაათი ათასი).

ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული 2023 წელს სტიქიით (წყალდიდობა) დაზარალებული მოსახლეობის კონპენსაცია, არაფერია ნათქვამი რა გაკეთდება მცირე და საშუალო ბიზნესის გასანვითარებლად და ხელშესაწყობად.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აკლია კონკრეტიკა: კერძოდ, ფასადების რეაბილიტაციის პროგრამაში არ არის გაწერილი რამდენ კორპუსს უტარდება რეაბილიტაცია და რა იგულისხმება რეაბილიტაციაში (ფასადების შეღებვა, სახურავის გადახურვა და ა.შ). ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია სენაკი-ჩხოროწყუს ეპარქიისათვის 50.0 (ორმოცდაათი ათასი ლარი) გამოყოფა, თუმცა მიზნობრიობა გაუგებარია.

სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება-პროგრამულად გაურკვეველია რამდენ ბავშვზე დგება ბიუჯეტი.

წლიდან წლამდე ბიუჯეტის შესავალ ნაწილში იწერება რომ ქალაქს არ გააჩნია საკანალიზაციო სისტემა და გამწმენდი ნაგებობა. საყოფაცხოვრებო კანალიზაცია მიედინება დახურულ სანიაღვრე არხებში, რომლებიც მოძველებულია, რაც მუდმივად ქმნის პრობლემას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ბიუჯეტის პროექტში არაფერია გაწერილი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე : 7. წინააღმდეგი :0) გადაწყდა აღნიშნული შენიშვნები წარედგინოს საკრებულოს

## 2. 2025 წლის სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარსადგენი ინიციატივები

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მ/შ: მირანდა მირცხულავა.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა თხოვა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ მათი ინიციატივები, რომელიც წარედგინება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას რათა აისახოს 2025 წლის ბიუჯეტში.
აზრი გამოთქვეს : მირანდა მირცხულავა, ზურაბ სანაია, მაია ფირცხალავა, საბა სირია, გოგიტა ოდიშარია,სულხან ხუნწარია, ბორის სოსელია.

ინიციატივები წარმოადგინეს: ლაშა კუჭავა , ბორისი სოსელია , ბესიკი ნარმანია , საბა სირია, გოგიტა ოდიშარია, მაია ფირცხალავა, სულხანი ხუნწარია, ლელა შერვაშიძე, ზურაბ სანაია, ია აბულაძე, მირანდა მირცხულავა.

1) საჯარო სკოლების პირველკლასელთა უფასო კვების პროგრამა,
2) სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკმაოდ გაიზარდა ელექტრომანქანების რაოდენობა, რამაც მოითხოვა სწრაფი დამტენების დამონტაჟება.
3) ქალაქის ცენტრალურ პარკსა და სკვერში გაკეთდეს მაგიდები ქვის ზედაპირით, რომელიც გამოყენებულ იქნება სამაგიდო თამაშებისთვის ( ჭადრაკი, დომინო , ნარდი და ა.შ)
4)100 კიბის გადმოსახედზე ბინოკლის (ჭოგრიტის) დადგმა.
5) სამუსიკო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულ მოსწავლეთა სწავლის დაფინანსება კონსერვატორიაში და თეატრალურ ინსტიტუტში უკან დაბრუნების პერსპექტივით.
6) შუქნიშნების, ზებრა გადასასვლელების მოწესრიგება და საგზაო ნიშნების გამართვა და მოწესრიგება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
7) მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის მოწყობა. ასევე მოქალაქეების, რომლებიც ზრუნავენ მიუსაფარ ძაღლებზე, მათი ძაღლის საკვებით უზრუნველყოფა ამ მიზნით მოხდეს პროგრამულ კოდში 03.02 მიზნობრიობის დამატება და თანხა გაიზარდოს დაახლოებით 5.000 ლარით (ხუთიათასი).
8) სტენდის მოწყობა ,,მე მიყვარს სენაკი,, .
9) პარკირების მოწესრიგება ქალაქის ტერიტორიაზე, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი საპარკინგე ადგილის შერჩევა და მოწესრიგება.
10) სახანძრო სტენდების მოწყობა სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში.
11) მრავალსართულიანი კორპუსების ლიფტების შეკეთება-აღდგენა.

12) სოფლებში სადაც მოსახერხებელია უფასო ინტერნეტის მიწოდება.
13) პირველ ეტაპზე სანიაღვრე არხების სათავეში ღორღდამჭერების მოწყობა და რეაბილიტაცია.
14) ქალაქის ტერიტორიაზე კანალიზაციის ქსელის მოწყობა.
15) თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობის ასინიზაციის / კანალიზაციის მანქანის შეძენა.
16) მ.ღვინჯილიას ქუჩაზე არსებული კორპუსების ფასადების შეღებვა და ეზოს კეთილმოწყობა.
17) საფეხბურთო კლუბ ეგრისის ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი გუნდებისათვის სამივლინებო კვების ხარჯების ზრდა.
18) ახალსოფლის ადმინისტრაციულო ერთეულში საჟვანიოს უბანში ასფალტის საფარის დაგება.
19) ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში ისულას უბანში ( I II III ) ქუჩის ასფალტის საფარის დაგება.
20) საქართველოს ბრინჯაოს ლიგაზე 2025 წლის სეზონისათვის საფეხბურთო კლუბ ეგრისის ასაკობრივი გუნდის U 15 მონაწილეობის დაფინანსება 45 000 ლარით.
21 ) საცურაო აუზის მშენებლობა მ. ღვინჯილიას ქუჩაზე , სპორტის დარბაზის მიმდებარედ.
22 ) ქარის გენერატორის შესყიდვა-მონტაჟი, რომლის ღირებულება დაახლოებით შეადგენს 350 000 ლარს,რაც შემდგომში გამოანთავისუფლებს 80 % ით ელექტროენერგიის ხარჯებს,რაც დაახლოებით შეადგენს წელიწადში 445 000 ლარს,
23 ) სტალინის პირველი ჩიხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ღელის ჯებირის მოწყობა.
24) (ყოფილი 139-ე პროფსასწავლებელი) დევნილთა ჩასახლების კორპუსების სახურავის რეაბილიტაცია.
25 ) სტალინის ქუჩაზე არსებულ სტადიონთან სავარჯიშო ტრენაჟორის მოწყობა.
26) სენაკის ცენტრალურ სტადიონზე გარე საპირფარეშოს მოწყობა და გასახდელი კონტეინერის შეძენა.
27) ნოსირი, სასოლომონიოს ქუჩის რეაბილიტაცია.
28) ნოსირი, მე - 8 ქუჩის რეაბილიტაცია.
29) ნოსირი, მე - 14 ქუჩის რეაბიილიტაცია.
30) ნოსირის ცენტრში სავარჯიშო ტრენაჟორის მოწყობა.
31) გეჯეთი, საჩემიოს უბანსი ქუჩის რეაბილიტაცია.
32) გეჯეთი, სათურქიოს უბანში გზის რეაბილიტაცია.
33) გეჯეთის ცენტრში სავარჯიშო ტრენაჟორის მოწყობა.
34) თ. სახოკიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.
35) თ. სახოკიას ქუჩის რეაბილიტაცია.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად(მომხრე7 წინააღმდეგი 0) გადაწყდა აღნიშნული ინიციატივები გადაიგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.
სხდომის თავმჯდომარე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მ/შ:

მირანდა მირცხულავა

სხდომის მდივანი: მაია ფირცხალავა